**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება** 02-03/171

ქ.ბათუმი 25 ნოემბერი, 2016 წელი

**ბსუ-ს აკადემიურ/მასწავლებელთა პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ**

ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის ირმა ქერქაძის 2016 წლის 15,18,21,24 ნოემბრის MES 4 16 01369612, MES 6 16 01383005, MES 5 16 01391267 MES 9 16 01400495, MES 7 16 01406046 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ირკვევა, რომ ბსუ-ს აკადემიურ/მასწავლებელთა პერსონალის <u>მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულებას</u>. აღნიშნული გამოიხატა სასწავლო პროცესის გაცდენაში. ასევე ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა სამუშაო საათებში სამუშაო ადგილზე არყოფნის ფაქტები.

ბსუ-ს შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანხმად:,,წინასწარ ცნობილი მიზეზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში უნივერსიტეტში დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ფაკულტეტის დეკანს ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსს გამოუცხადებლობის/დაგვიანების სავარაუდო პერიოდი, სათანადო მიზეზის მითითებით. სამსახურში გამოცხადების შემდეგ უნივერსიტეტის პერსონალმა სტრუქტურული ერთეულის უფროსს უნდა წარუდგინოს ახსნა-განმარტებითი ბარათი სამსახურში გამოუცხადებლობის/დაგვიანების თაობაზე". ასევე,მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანხმად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევის (არასაპატიო მიზეზით სასწავლო პროცესის გაცდენის/დაგვიანების) შემთხვევაში მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინარული ღონისძიებები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კი, ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად, საფუძველს ქმნის მათ მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისათვის.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-8 მუხლის, მე-19–21–ე მუხლების, ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 05 ნოემბრის N01-08/51 ბრძანების, ბსუ-ში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო ცხრილების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 25 ოქტომბრის№01-08/59 ბრძანების, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 06 ოქტომბრის №01-08/48 ბრძანების, ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის ირმა ქერქაძის 2016 წლის 15,18,21,24 ნოემბრის MES 4 16 01369612, MES 6 16 01383005, MES 5 16 01391267 MES 9 16 01400495, MES 7 16 01406046 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება **დანართი 1-ით** განსაზღვრულ ბსუ-ს აკადემიურ/**მასწავლებელთა პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ**, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების (სააუდიტორიო მეცადინეობის გაცდენის) გამო დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე ბსუ-ს რექტორის აქტის გამოსაცემად.

2. დანართით განსაზღვრულ პირებს განემარტოთ, რომ ახსნა-განმარტებები ბრძანებაში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით (ლექციის გაცდენის მიზეზი, წინასწარი შეტყობინების დამადასტურებელი დოკუმენტების ბსუ-ს სამართლებრივ აქტების შესაბამისად წარმოდგენის, ჩასატარებელი ლექციების შეთანხმებული განრიგისა თუ სხვა)და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინონ არაუგვიანეს 2016 წლის 02 დეკემბრისა.

3.დაევალოთ ფაკულტეტების დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს ( რომელთა სამსახურეობრივ მოვალეობას შეადგენს დანართი 1-ით განსაზღვრულ პირთა სასწავლო პროცესის მონიტორინგი) წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი, ასევე გაცდენებთან და პერსონალის განმარტებებთან დაკავშირებით, ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატის მონაცემებზე დაყრდნობით საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის მეშვეობით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა დაევალოს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს.

5. დისციპლინური საქმისწარმოებასთან დაკავშირებით ბსუ-ს რექტორის აქტი გამოიცეს 2016 წლის 02 დეკემბრის შემდეგ, ჩატარებული დისციპლინური საქმისწარმოების დროს მოკვლეული მასალების გათვალისწინებით.

6. ბრძანება ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად ჩაბარდეს ბრძანების დანართით განსაზღვრულ პირებს, შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს და დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, რისი უზრუნველყოფა დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

1. 2016 წლის 10 ნოემბერს - 15.00 და 18.00 საათისათვის აუდიტორიაში N 14-20 არ იმყოფებოდა მასწავლებელი - ბელა ჭურჭელაური (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი).
2. 2016 წლის 10 ნოემბერს - 16.00 და 18.00 საათისათვის აუდიტორიაში N 21-29 არ იმყოფებოდა მასწავლებელი - ხათუნა ხაბაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი).
3. 2016 წლის 14 ნოემბერს - 10.00 და 11.00 საათისათვის და 16 ნოემბერს 11.00 და 13.00 საათისათვის აუდიტორიაში N114, 116, 129 არ იმყოფებოდა მასწავლებელი - ცირა გამცემლიძე ( ტურიზმის ფაკულტეტი, ტურიზმის დეპარტამენტი).
4. 2016 წლის 17 ნოემბერს - 18.00 საათისათვის აუდიტორიაში N 314 არ იმყოფებოდა მასწავლებელი - მზია დიდმანიძე ( საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, კლინიკური მედიცინის დეპარტამენტი).
5. 2016 წლის 17 ნოემბერს - 17.00 და 18.00 საათისათვის აუდიტორიაში - N 310 არ იმყოფებოდა პროფესორი - კახაბერ ქაშიბაძე ( საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, კლინიკური მედიცინის დეპარტამენტი).
6. 2016 წლის 18 ნოემბერს - 15.00 საათისათვის აუდიტორიაში - N 311 არ იმყოფებოდა მასწავლებელი - ხათუნა ქათამაძე. ( საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტი).
7. 2016 წლის 18 ნოემბერს - 17.00 საათისათვის აუდიტორიაში - N 324 არ იმყოფებოდა მასწავლებველი - მერაბ ფუტკარაძე ( საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, კლინიკური მედიცინის დეპარტამენტი).
8. 2016 წლის 22 ნოემბერს - 09.00, 10.00 და 11.00 საათისათვის აუდიტორიაში - N 322 არ იმყოფებოდა მასწავლებელი - ირა აბულაძე (საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტი).
9. 2016 წლის 18 ნოემბერს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებელი ინგა ცინცქილაძე ლექციიდან გავიდა 9 საათისა და 50 წუთის ნაცვლად 9 საათსა და 45 წუთზე.